



საქართველოს დასამართლის სა დაცვითო და უცოდებელი ურთისესობის მიზანის მიხედვის
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

22

საქართველოს მოკლე ეკონომიკური ისტორია
გაავათილი, რომელიც უდეა დავითასესოვანით

გია ჯანდიაზი



ეპსენტის კაზრი

2014



ექსპერტის აზრი

გია ჯანდიარი

საქართველოს მოკლე ეკონომიკური ისტორია
გაკვეთილი, როგორიც უძვა დავითასოვის

(22)

2014



პუბლიკაცია დაიბეჭდა თურქეთის თანამშრომლობისა და

კოორდინაციის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: გია ჯანდიერი

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და
საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის
გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი,
მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2014 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-6640-5

მოკლე აღწერა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი საქართველოს ეკონომიკის გამოცდილება მნიშვნელოვანია კარგად იქნას შესწავლილი და გაანალიზებული როგორც საქართველოში, ასევე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. ბევრი მიზეზი არსებობს, რატომ უნდა ჩაითვალოს ქართული გამოცდილება საინტერესოდ და ლირებულად. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოცდილება აღწერს ცენტრალური დაგეგმვის, ცენტრალიზებული, ბიუროკრატიული და მბრძანებლური ეკონომიკური სისტემის თითქმის ყველა პრობლემას. ქართული გამოცდილება აგრეთვე საინტერესოა კოლონიური ეკონომიკური ურთიერთობების გასაანალიზებლად, რომელიც საბჭოთა იმპერიაში არსებობდა, და საერთო მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გამო, რომელსაც იგი გამოიყენებდა.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკის დეზინტეგრაციამ საქართველოს და მის ხალხს დიდი პრობლემები მოუტანა; მსოფლიო ბანკის სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტი 1980-იანი წლების 20-25 პროცენტის დონეზე დაეცა. არსებობდა ამ ჩავარდნის მრავალი პირდაპირი და არაპირდაპირი მიზეზი. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო კოლონიური ტიპის მეურნეობა — არსებული სანარმოები საბჭოთა კავშირის შიგა მოთხოვნებს (ფაქტობრივად ცენტრალური ხელისუფლების იდეებს) ემსახურებოდა, ან ასევე განუვითარებელი სავაჭრო ურთიერთობები საბჭოთა კავშირის გარეთ არსებულ მიმწოდებლებთან და მყიდველებთან.

დამოუკიდებლობის პირველივე წლებში საქართველოს ეკონომიკამ განიცადა ყველაზე მძიმე ზენოლა რუსეთის ფედერაციის (შემდგომში — რუსეთის) ხელისუფლებისაგან. მაგალითად, ზენოლის პირდაპირ მექანიზმებში შედიოდა ენერგიის მიწოდების შეჩერება, ხოლო არაპირდაპირში — მონეტარული პოლიტიკის მანიპულაციები.

საქართველოს ეკონომიკა სტაგნაციას განიცდიდა და მიუხედავად 1990-იანი წლების მეორე ნახევარში საკანონმდებლო გაუმჯობესებისა და საერთაშორისო დახმარებისა, 2005 წლამდე რაიმე ხელშესახები გაუმჯობესება არ ჰქონდა. საქართველომ სცადა მძლავრი ინსტიტუციური რეკონსტრუქცია ევროპული კანონების ჰარმონიზაციისა და ხანდახან პირდაპირი კოპირების გზით. გეოპოლიტიკურმა და შიგა პოლიტიკურმა არეულობამ ქვეყანაში ინვესტირების რისკიანობა გაზარდა. ეს ტენდენცია გაამყარა ენერგიის მიწოდების არასტაბი-

ლურობამ და სწრაფად დეგრადირებადმა შრომითი რესურსების კვალიფიკაციამ.

საკანონმდებლო შეცდომებმა ქართული ბიზნესი დიდი ვალდებულებების მახეში გააპა; საგადასახადო წესების და რეგულირებების შეუსრულებლობაში ნებისმიერი ფირმის დადანაშაულება შეიძლებოდა. რეგისტრიებული კომპანიების რაოდენობა არ იზრდებოდა, ბიზნესი დისკურსიტებული იყო, ეკონომიკა – მოწყვლადი ნებისმიერი რეგიონული თუ გლობალური რეგიონების მიმართ. ბიზნესის გარემო და ეკონომიკური თავისუფლებები, მცირედ გაუმჯობესებული საბჭოთა კავშირის შემდეგ, კვლავაც დაბალი ხარისხის რჩებოდა და ხელს უშლიდა უცხოურ და შინაურ ინვესტიციებს. კორუფცია გამონაკლისი კი არ იყო, არამედ მართვის აპოლუტური წესი. გრძელვადიანმა დაუსაქმებლობამ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ეკონომიკის დაცემის დროიდან დაასუსტა ქართული მომუშავეები კონკურენტუნარიან გლობალურ ბაზარზე, რამაც თავის მხრივ, ხელი შეუწყო ინვესტორების ფრთხილ მოქმედებას და ყოყმანს.

მთავრობის ფინანსებიც სტაგნაციას განიცდიდა. რამდენიმეწლიანი ქაოსის შემდეგ პირველი საჯარო ბიუჯეტი 1995 წელს დამტკიცდა და შემოსავლებმა სწრაფად დაიწყო ზრდა. ეს 1998 წლამდე გაგრძელდა, როდესაც შემოსავლებმა მკვეთრად დაიკლო (დაბრალდა აღმოსავლეთი აზის კრიზისა) და რამდენიმე წელი აღარ გაუმჯობესებულა. მთავრობამ განახორციელა მცდელობები შიგა და გარე სესხების საშუალებით ფისკალური სისტემის სტაბილიზაციისთვის, მასშია-ვლებელების ხელფასების, პენსიების დავალიანებების, ნინა სასესხო ვალდებულებების გასასტუმრებლად. ქვეყანა დეფოლტის პირას იყო.

მკაფიოდ ჩანდა, რომ სიტუაცია ქვეყანაში კარდინალურ ცვლილებებსა და რეფორმებს მოითხოვდა, რაც შემდგომში საპროტესტო დემონსტრაციებსა და ვარდების რევოლუციაში გამოიხატა. რევოლუცია ხალხს დაჰპირდა ცხოვრების გაუმჯობესებას, მასობრივი კორუფციის აღმოფხვრასა და სამთავრობო სამსახურების ძალაუფლების გადამეტების დასრულებას.

ვარდების რევოლუციის შემდეგ გატარებულმა რეფორმებმა გააუმჯობესა საქართველოს მდგომარეობა – ეკონომიკური ზრდა შემდგომ ცხრა წელიწადში მის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ქვეყანა გლობალური ჩემპიონი გახდა ბიზნესის გარემოს გაუმჯობესების მიხედვით, გაუმჯობესებულმა ეკონომიკურმა თავისუფლებებმა ქვეყნის მიმართ ინვესტორების ნდობა გაზარდა,

მიუხედავად რუსეთის მუდმივი ზეწოლისა და 2008 წლის ომისა, ქვეყანამ მოახერხა გლობალური კრიზისისათვის თავის დაღწევა. თავისუფალი ვაჭრობისა და ლიბერალიზებული რეგულირების ეკონომიკურმა პოლიტიკამ წარმატება მოუტანა როგორც ეკონომიკას, ისე მთავრობას. ევროპულ დონეზე შემცირებული კორუფცია, საჯარო სერვისების ამაღლებულმა სარისხმა, ბიზნესის ლიბერალიზებულმა გარემომ, საერთაშორისო დახმარებაზე შემცირებულმა დამოკიდებულებამ და პასუხისმგებლურმა ეკონომიკურმა და ფისკალურმა პოლიტიკამ საქართველო ერთ-ერთ ლიდერად აქცია განვითარებად ქვეყნებს შორის. ქვეყნის დაცემისა და აღორძინების ეს ისტორია იქცა კარგ გაკვეთილად მომავალი თაობებისათვის, გადაწყვეტილების მიმღები პოლიტიკოსებისა და ამორჩევლებისათვის როგორც საქართველოში, ისე ყველა იმ ქვეყნისათვის, ვინც ეკონომიკურ პრობლემებს ებრძვის.

საბჭოთა პერიოდის საქართველოს (საქართველოს სსრ) ეკონომიკის მოკლე მიმოხილვა

საქართველო, დამოუკიდებელი ქვეყანა 1918-დან 1921-წლამდე, რომელიც აღიარა ერთა ლიგამ და მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ, კვლავ რუსეთის (საბჭოთა რესპუბლიკის) მიერ იქნა ოკუპირებული და გადაკეთებული კომუნისტურ სახელმწიფოდ, რომელიც შემდგომში, 1922 წელს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს (სსრკ) მიუქრთეს. საბჭოთა კავშირის იდეოლოგიური ხასიათიდან გამო-მდინარე, მისი ეკონომიკა ეფუძნებოდა ცენტრალურ დაგეგმვასა და წარმოების საშუალებებზე საჯარო საკუთრებასა, იყო ძალიან დახურული და ორიენტირებული შიგა მოთხოვნების დაკმაყოფი-ლებაზე.

ამ და სხვა ფაქტორებმა განაპირობა ისეთი ეკონომიკური და საინვესტიციო პოლიტიკის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფდა ეკონომიკური სისტემის ერთიანობას და მონაწილეობის ურთიერთდამოკიდებულობას. ცენტრალური დაგეგმვის ეკონომიკის ფარგლებში მოსკოვში არსებულმა გადაწყვეტილების მიმღებმა ხელისუფლებამ შეარჩია ქვეყნის ზოგიერთი ნაწილი, სადაც ინტენსიური ინდუსტრიული პოლიტიკა განახორციელა: ზოგან – წმინდად აგრარული, ხოლო სხვაგან – მათი ნარევი. მაგალითად, უზებეკეთი დაავალდებულეს ემუშავა ბამბის წარმოების სექტორში, საქართველო – ლვინის, ჩიას და ციტრუსის სექტორებში, მიუხედავად

მათი ხარისხისა. მასობრივად წარმოებული ჩაი საქართველოში ვერ იქნებოდა იმ ხარისხის, როგორიცაა, მაგალითად, ინდური, მაგრამ რადგანაც სისტემა დახურული იყო, საქართველოს დაევალა ეწარმოებინა იმდენი ჩაი, რამდენიც საკმარისი იქნებოდა საბჭოთა მომხმარებლების დასაქმაყოფილებლად. ქართველი მწარმოებლების პროდუქციის უცხოეთში გატანა სრულიად შეზღუდული იყო და, შესაბამისად, არ არსებობდა არანაირი კონკურენცია, არჩევანი და შანსი ხარისხის გასაუმჯობესებლად.

თუ ისევ ჩაის წარმოებას მივუბრუნდებით, მისი პლანტაციები საქართველოში 64 ათას ჰექტრამდე აგარარულ მინას ფარავდა¹. ეს პლანტაციები გრძელვადიან ინვესტიციებსა და მოქმედებას საჭიროებდა. ჩაის პლანტაციების სხვა მხარე მისი ლიკვიდაციის სიძირირა. მას შემდეგ, რაც მისი არაკონკურენტუნარიანობა ცხადი ხდება, ეს განზრაას თუ განზრახვის გარეშე ამცირებს მნიშვნელოვანი მიწების გამოყენების შესაძლებლობებს და ლირებულებას. ეს მაგალითი კარგად უკეთებს ილუსტრირებას ეკონომიკური პოლიტიკური მიზნებით გამოყენებას — კავშირის გამკაცრებას, ხელოვნური ინტეგრაციის გამძლავრებას და ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებულებას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პირველ
წლებშივე შეწყდა რუსულ-ქართული ჩაის
წარმოება. საქართველო ველარ გააგრძელებდა
მის წარმოებას, რადგან მისი ერთადერთი პაზარი
რუსეთი იყო, რომელიც ქართული ჩაის ხარისხის
გაუარესების გამო ჩაის სხვა ქვეყნებიდან
შესყიდვაზე გადაერთო.²

საქართველოს ეკონომიკა შედგებოდა აგრარული სექტორისაგან, ასობით კოლექტიურ მეურნეობაში სხვადასხვა პროდუქტის მასობრივი წარმოებით, და ასევე სხვადასხვა ინდუსტრიული წარმოებისაგან. ინდუსტრიული საწარმოების რაოდენობა საბჭოთა კავშირის დასასრულისთვის 900-ს აღწევდა. მათ შორის, მძიმე ინდუტრიაში იყო სამი დიდი საწარმო 10 ათასი და მეტი მომუშავით და ექვსი საწარმო — 3 ათასზე მეტი მომუშავით. ეს საწარმოები ძირითადად ჩამორჩენილ

¹ www.ru.wikipedia.org/wiki/%D0%93%D1%80%D1%83%D0%B7%D0%B8%D0%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9_%D1%87%D0%B0%D0%B9

² იქვე.

წარმოებას ენეოდნენ და მათი გამოშვებული საქონლის ხარისხი იმდენად დაბალი იყო, რომ საბჭოთა სტანდარტებსაც ვერ აქმაყოფილებდა.

სხვა ინდუსტრიებიც ასევე განუვითარებელი იყო და ძირითადად არსებობდა ცენტრალური ხელისუფლებიდან წამოსული ბრძანებების საფუძველზე, რომლებიც მოსკოვში საზღვრავდნენ წარმოების სავალდებულო რაოდენობებს, ფასებს, სტანდარტებს, ხარისხს და მყიდველებს. წარმოებული საქონლის დიდი რაოდენობა საწყობებში ინახებოდა, მოთხოვნისა და გაყიდვის შანსების გარეშე. პროდუქციის წარმოებისა და მომხმარების სავალდებულო წესები ვერ მუშაობდა ბოლო მომზმარებელის დონეზე. მძიმე ინდუსტრიის საქონელი მაინც ინარმოებოდა და, როგორც წესი, მომხმარებლებს დიდი დაგვიანებით მიეწოდებოდა. მყიდველი კი, რომელიც ვალდებული იყო შეეძინა, ამ საქონელს თითქმის ყოველთვის დიდი უკმაყოფილებით ხვდებოდა.

პირველი ეტაპი: კერძო საკუთრების გაუქმება

საბჭოთა კავშირი იყო მარქსისტულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ქვეყანა, რომელიც პროპაგანდას უწევდა საკუთრებისა და მოგების გარეშე საზოგადოებას. ბოლშევიკებმა, ვინც ორგანიზება გაუკეთეს სოციალისტურ რევოლუციას 1917 წელს და ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, კარგად იცოდნენ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო საკითხი: პირველი – კარგი მოტივაციის გარეშე ეკონომიკა გაჩერდებოდა, მაგრამ მეორეც – საკუთრების აღმიფხვრის გარეშე ისინი ძალაუფლების შენარჩუნებას ვერ შეძლებდნენ. ამის გამო, მცირე ყოყმანის შემდეგ, რევოლუციის დასაწყისში მათ წამოიწყეს კერძო საკუთრების გაუქმება და კონფისკაციის მეორე ტალღა, როდესაც შეეხნენ მიწებსაც და საწარმოებსაც; მოგვიანებით საჭირო გახდა კერძო მესაკუთრეთა განადგურება, რომლებიც კვლავ ეწინააღმდეგებოდნენ ნაციონალიზაციის პროცესს. 1930-იანი წლების შემდეგ ყველა მიწა და საკუთრება უკვე სახელმწიფოს ეკუთვნოდა (ფორმალურად – ხალხს).

მეორე ეტაპი: ცენტრალურად დაგეგმილი მეურნეობის მშენებლობა

საბჭოთა ხელმძღვანელობამ დიდი ძალისხმევა გასწია ქვეყნის ინდუსტრიული და აგრარული პოტენციალის რეკონსტრუქციისთვის. ეს იყო დაფუძნებული მარქსისტულ ცენტრალურად დაგეგმილ

ეკონომიკურ სისტემაზე, რომელიც მას სახელმწიფო ბრძანებებით მართავდა. კერძო მესაკუთრეების განადგურების შემდეგ მთავრობამ ხალხი ფაქტობრივად საკუთარ მოწებად აქცია (დაამწყვდია ქვეყნის შიგნით, აუკრძალა ნებართვის გარეშე საცხოვრებელი ადგილის შეცვლა) და ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციისათვის გამოიყენა. კოლექტივიზაცია იყო საბჭოელების ერთ-ერთი გამოგონება, რომ დაემონიბინათ გლეხები და ეიძულებინათ ისინი ეშრომათ მონათმიფლობელი სახელმწიფოსთვის. ამ მცდელობას ნელა მოყვა გარკვეული ეკონომიკური შედეგები ქვეყნისთვის, რომლის ძირითადი შემოსავალი ბუნებრივი რესურსების გამოყენებიდან მოდიოდა. ეს იყო მონურ შრომაზე დამყარებული წარმატება.

ეტაპი მესამე: არაფერი მუშაობს

კაცობრიობის ისტორიამ ცხადყო, რომ ეკონომიკამ, რომელიც მონურ შრომას ეყიდვა არ გვიჩვენდა, შესაძლებელია რაღაც პერიოდი გაძლის და მოიტანოს გარკვეული შედეგებიც, მაგრამ მხოლოდ შეზღუდული დროით. შემდეგ ნებისმიერი ეკონომიკური სისტემა შეეცდება მოძებნოს ახალი გადაწყვეტილებები და გამოსავალი. სწორედ ასე მოხდა საბჭოთა საქართველოშიც, რომელიც უცებ გადაეშვა კარგად ორგანიზებულ ჩრდილოვან ეკონომიკაში, როგორც კი საბჭოელებმა 1950-იან წლებში რეპრესიები შეარბილეს. ბევრისთვის ცხოვრების ჩეგულებრივ წესად იქცა მიბარვა, გაფლანგვა და კორუფცია. ყველას, ვინც უარს იტყვოდა ასეთი ცხოვრების წესზე, ელოდებოდა ძალიან დაბალი ხარისხის საცხოვრისი პირობები. ამან დემოტივაცია გაუკეთა ეკონომიკის ყველა სექტორს, რომ გაეუმჯობესებინათ მათი საქმიანობა. საქონლის წარმოების დაბალი დონე არაკონკურენტუნარიანი გლობალური ბაზრებისთვის შრომითი რესურსების ხარისხსაც დატყვის.

აბსოლუტურმა ბიუროკრატიზაციამ, ცენტრალიზაციამ და ზე-რეგულირებამ ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე კორუმპირებულად აქცია, სადაც ქრთამი იყო ბილეთი უკეთესი ცხოვრებისათვის და დეფიციტური რესურსების მისაღებად.

დასასრული

1970-იანი წლების ბოლო ძალიან პესიმისტური იყო. საბჭოთა პროპაგანდა ბევრს მუშაობდა, რათა დაერწმუნებინა ხალხი ქვეყნის

შიგნით და გარეთ, რომ ეკონომიკა ძალიან წარმატებული იყო და ცხოვრება უმჯობესდებოდა. მაგრამ 1980-იანი წლების პირველი წლები დაიწყო საკვების ტალონების ცენტრალური განაწილებით; ქვეყანა, რომელიც ყოველ დღე ინდუსტრიის ახალ მიღწევებს ზეიმობდა, განიცდიდა საკვების და ნებისმიერი საქონლის დეფიციტს, კბილის პასტისა და ტუალეტის ქაღალდის ჩათვლით. ხელფასით შეუძლებელი იყო ავტომობილის შეძენა, მაგრამ თუ ფული გქონდა, შეიძლება დეკადები დაგჭირვებოდა რიგში დგომა. კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებთანაც კი შეზღუდული სავაჭრო ურთიერთობის გამო ადგილობრივებს არ ჰქონდათ საშუალება, ეყიდათ უცხოური საქონელი. თუმცა ასეთი საქონელი რომც გამოჩენილიყო, მაინც ვერ იყიდიდნენ.

საბჭოებში რაც მუშაობდა, იყო კორუფცია. ქრთამით შესაძლებელი იყო შეგეძინათ ყველა დეფიციტური საქონელი. ნაციონალური რესპუბლიკების და ქალაქების მთავრობები, საწარმოები, აკადემიური ინსტიტუტები, ფეხბურთის კლუბები. ფილმის გადამდები სტუდიები საკუთარი ინტერესების ლობირებას ენერგენ მოსკოვში, პირდაპირი მოქრთამვის გზით იღებდნენ დეფიციტურ რესურსებს მაშინ, როცა ზოგიერთ რეგიონში ხალხი შიმშილობდა.

სრული პოლიტიზება

ცენტრალური ხელისუფლების მცდელობამ, დახმარებოდა კავშირის ყველაზე პრობლემატურ რეგიონებს სხვის (უმეტესად ბუნებრივი რესურსებით მდიდარი მხარეების) ხარჯზე, პარაზიტიზების ახალი პრობლემები გააჩინა. ცხადად ხედავდნენ რა ამ პრობლემას, საბჭოთა ლიდერებს არასოდეს უცდიათ, შეეჩერებინათ ასეთი ბოროტად გამოყენება. პირიქით, გააგრძელეს პრობლემატური რეგიონებისა და საწარმოების სუბსიდირება ბუნებრივი რესურსების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებიდან. მოგვიანებით უკვე პოლიტიკურად შეუძლებელი გახდა ამ ეკონომიკური პოლიტიკის შეზღუდვა და ცენტრის საწინააღმდეგო ტენდენციების წახალისება ეროვნულ რესპუბლიკებში. ყველაზე დაჩაგრული იყვნენ რეგიონები, რომელთაც არც ბუნებრივი რესურსები ჰქონდათ და არც ცენტრიდან დახმარება.

სხვა ტიპის სუბსიდია მოდიოდა მონეტარული სისტემიდან. საბჭოთა კავშირმა საერთო ვალუტა და მონეტარული სისტემა 1920-იანი წლების ბოლოდან შემოიღო. ინფლაციის პრობლემებმა ბოლშევიკები დაარწმუნა, რომ მეტალზე დამყარებული ძლიერი ვალუტა სწრაფად

შექმნიდა ნდობას მათი პოლიტიკის მიმართ და ამან მართლაც დახმარება გაუნია მათ საბჭოთა კავშირის პირველ წლებში. მაგრამ შემდგომში ხელისუფლებამ იგრძნო, რომ მათ ქვეყნის მართვა სწორი ინსტიტუტების გარეშეც შეეძლოთ, ძალადობის გამოყენებით, გააუქმა ლითონზე დამყარებული ფული და გადავიდა ქაღალდის ფულზე. მრავალი ინფლაცია და დევალუაცია იქნა გამოყენებული მთავრობის არასწორი პოლიტიკის კორექტირებისათვის, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი საერთო ვალუტა იყო, რომელმაც მოითხოვა საერთო საგადასახადო და ფისკალური პოლიტიკის არსებობა.

საბჭოთა რუბლი (მანეთი) ბრძანებითი ფული იყო და მისი ძალა – მსყიდველობითი უნარი და ნდობა – დამყარებული იყო მხოლოდ ბუნებრივ რესურსებზე, რომლის შესყიდვაც ამ ფულით შეიძლებოდა. მოთხოვნა ვერ იქნებოდა იმ არაკონკურენტუნარიან საქონელზე, რომელიც საბჭოთაში და კონკრეტულად საქართველოში ინარმობოდა. უცხოური ვალუტის რეზერვების წყარო მხოლოდ ნავთობი, გაზი, ხე-ტყვე და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეები იყო. ამ წესით საერთო ვალუტა ფაქტობრივად ბუნებრივი რესურსებით მდიდარი რეგიონების ხარჯზე სუბსიდირებას უწევდა საბჭოთა კავშირის ამ რესურსებით ნაკლებად მდიდარ ნაწილებს.

ამ დროისთვის მოსკოვის ხელისუფლებაში ბევრი ხვდებოდა, რომ გაუმჯობესება მცირე ცვლილებებით შეუძლებელი იყო – ქვეყანას სჭირდებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური რეორგანიზება და რეკონსტრუქცია. ეს ბევრმა იცოდა, მაგრამ ისინი პროპაგანდისა და საკუთარი თავის მოტყუების ხაფანგში იყვნენ გაბმული მანამ, სანამ ნავთობის ფასები მკვეთრად არ დაეცა.

ფინანსური რესურსების დანაკლისმა, ყველაზე მნიშვნელოვანი საკვების დეფიციტმა, დეზორგანიზებულმა ეკონომიკური კომუნისტი ლიდერები არჩევანის წინაშე დააყენა – ან გაეგრძელებინათ მცდარი სისტემა, ან მოეხდინათ რეორგანიზება. 1980-იანი წლების შუა პერიოდის გადაწყვეტილებებმა გააჩინა ეკონომიკური საქმიანობის თვითდაფინასებაზე გადაყვანის შესაძლებლობა, კერძო ინიციატივების გამოჩენისა და ფასის გამოყენების უფლება. ამ რეფორმის მიზანი ეკონომიკის დანგრევა კი არ იყო, არამედ ნახალისება. სინამდვილეში კი ეს შემდგომ ჩავარდნას მიეხმარა, ყველას საკუთარი ინტერესით ქმედებისკენ უბიძგა, ოლონდ, იმავდროულად, მთავრობის რესურსების უფასოდ გამოყენებით. სანარმოებს შორის არსებული ყველა შიგა კავშირი უცებ შეირყა, ინფლაციის გამო კი მნარმოებლებს გაუქრათ

მოტივაცია, რომ მიეყიდათ საქონელი იმისათვის, ვინც მყარ ვალუტას არ სთავაზობდა.

ეს უკვე კოლაფსი იყო.

საქართველოს დამოუკიდებლობა – პირველი წლები

1980-იანი წლების ბოლოს საქართველომ და რამდენიმე სხვა რესპუბლიკამ საბჭოთა კავშირის დატოვება გადაწყვიტეს. ეს ძირითადად გნიპირობებული იყო ნაციონალური და პოლიტიკური მოტივებით. ეკონომიკური ფაქტორი უფრო მოგვიანებით გამოჩნდა. დამოუკიდებლობა საქართველოში 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა, მაგრამ მთავრობას ამ დროისათვის არ ჰქონდა რაიმე ეკონომიკური პოლიტიკა გარდა იმისა, თუ როგორ გაეგრძელებინა საბჭოთა კავშირის დარჩენილი შესაძლებლობების გამოყენება ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის. ფაქტობრივად, ეს სტრატეგია ეფუძნებოდა საკეთების, საწვავის, საამშენებლო მასალების შემორჩენილი სახელმწიფო რეზერვების გამოყენებას.

მაღალმა ინფლაციამ და საბჭოთა კავშირის სხვა ნაწილებთან არსებული ეკონომიკური კავშირების დაკარგვამ, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან განუვითარებელმა სავაჭრო ურთიერთობებმა შეუძლებელი გახადა ეკონომიკის გადახალისება და დასაქმების შენარჩუნება. შემდგომმა მოვლენებმა მოსპო ეკონომიკის გადარჩენის ყველა ილუზია. სსრკ იფიციალურად დაშლილად გამოცხადდა 1991 წელს, რის შედეგად შეწყდა მის ნაწილებს შორის არსებული ყველა ურთიერთვალდებულებაც.

მთავრობის ხელში არსებული მცირე ეკონომიკური პოლიტიკის ბერკეტები 1991 წელს მხოლოდ პოპულისტური გზებით იქნა გამოყენებული. ასე, მაგალითად, პრეზიდენტის დეკრეტით მოხდა პურის ფასის შეზღუდვა. ამ ნაბიჯმა დააჩქარა რეზერვების გამოყენება და მიეხმარა პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციასაც, რომელიც წლის ბოლოს სამოქალაქო ომით დამთავრდა.

1992 წელი დაიწყო მსოფლიოს ერების მიერ საქართველოს და სხვა ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ოფიციალური აღიარებით და ისინი გაეროს წევრები გახდნენ. საქართველო ამ ახალ ამბავს აპსოლუტურ ქაოსსა და კოლაფსში დახვდა. არ იყო წესრიგი, არც კანონი

მოქმედებდა და არც რომელიმე ინსტიტუტი. ამავდროულად, კერძო და ნახევრად კერძო სამხედრო ჯგუფებმა, ორგანიზებულმა კრიმინალებმა მთელი ძალაუფლება ხელში აიღეს. მთავრობაში შედიოდნენ ამ ჯგუფების ყველაზე გავლენიანი პირები, რომლებმაც შემდგომში საპარლამენტო არჩევნები დანიშნეს.

1992-1995 წლების პარლამენტი ზეპლურალისტული იყო. შეუძლებელი იყო რაიმე გადაწყვეტილების მიღება სხვადასხვა მცირე პოლიტიკური ჯგუფების მოსაზრებებში დიდი განსხვავების გამო. ასე გაგრძელდა 1995 წლამდე, სანამ არ აირჩიეს ახალი პარლამენტი და არ მიიღეს ახალი კონსტიტუცია.

ამასობაში ეკონომიკური სიტუაცია და ადამიანების ცხოვრება უკიდურესად დამძიმდა. ინდუსტრიული საწარმოების უმრავლესობაში შეჩერა მუშაობა, რადგანაც აღარ არსებობდა ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც დაავალებდა ვინმე მომხმარებელს შეეძინა ამ სანარმოების მიერ გამოშვებული უხარისხო პროდუქცია. ამ პროდუქციის ძველი მომხმარებლები ახალი, დამოუკიდებელი საქართველოს გარეთ რჩებოდნენ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთის (ან სხვა ყოფილი საბჭოთა ქვეყნის) ხელმძღვანელობას სურდა ქართული პროდუქციის შეძენა, ის ვერ დაავალებდა საკუთარ მომხმარებლებს ეყიდათ ქართული საქონელი, მით უმეტეს, რომ მათი მსყიდველობითი უნარიც შემცირდა.

როდესაც საბჭოთა კავშირის საზღვრები გაიხსნა იაფი და უკეთესი ხარისხის უცხოური პროდუქციისთვის, ქართული ჩაის, ღვინის და ხილის ნარმოება იმ რაოდებობით, როგორც ადრე, შეუძლებელი გახდა, რის შედეგად ნარმოება შეჩერდა და მრავალი ათასი ადამიანი უმუშევრად დარჩა.

მოძველებულმა და უხარისხო საწარმოო საშუალებებმა, რასაც ემატებოდა ახალი ვითარებისათვის სრულიად შეუსაბამო ადამიანური რესურსები, თავისი ნვლილი შეიტანა ამ კრიზისში. დახურულმა საწარმოებმა ხალხი აიძულა ქუჩაში გასულიყო და დაეწყო კომერციული საქმიანობა. მრავალმა ადამიანმა იმავე საწარმოებიდან მოპარული ნივთების და ჯართის გაყიდვა სცადა, სხვა შემთხვევებში კი, საკუთარი სახლებიდან გამოტანილ ნივთებს ყიდდნენ.

ეკონომიკური არეულობისა და დაცემის სხვა ფაქტორი იყო ენერგიის მიწოდების შეზღუდვები. საწავის მიწოდება უკვე 1991 წლიდან იყო

დეზორგანიზებული, მაგრამ მომდევნო ორ წელიწადში ყველაზე დაბალ დონემდე დავიდა; რაიმე რეგულარული მიწოდება შესაძლებელი მხოლოდ 1994 წელს გახდა, მანამდე კი, ავტომობილების უმრავლესობა გამოუყენებლად იდგა. ბუნებრივი გაზის მიწოდება 1993 წლის შემოდგომიდან შეჩერდა და მხოლოდ 1990-იანი წლების ბოლოს აღდგა, ხოლო ელექტროენერგიისა (ზაფხულის პერიოდის გარდა, როდესაც ელექტროენერგიის სიჭარბეც კი არსებობდა ჰიდროსა-დგურების მუშაობის პიკის დროს) – მხოლოდ 2005 წლის რეფორმის შემდეგ.

ქვემოთ მოყვანილია ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკი 1985 წლიდან 1998 წლამდე, რომელიც ანალოგიურია იმავე პერიოდის ეკონომიკური შემოსავლების ტენდენციის (მილიონი კილოვატ-საათი)³



გადარჩენილი საწარმოები მრავალი თვისა და წლის მანძილზე ვერ ახერხებდნენ სრულად მუშაობას. ამის გამო, მათ შესაძლებლობას, დარჩენლიყვნენ დღითი-დღე შემცირებად ბაზარზე, დიდ კონკურენციას უწევდა იმპორტული საქონელი. იგივე ხდებოდა ადამიანური რესურსების ბაზარზეც.

დასაშვებია, რომ 1990 წლისთვის საქართველოში უფრო მაღალი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსები იყო, ვიდრე, ვთქვათ, აფრიკასა თუ აზიაში. წერა-კითხვის მაჩვენებელი კი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო მსოფლიოში. შემდეგ, გლობალური კონკურენციის ზემოქმედებით, გაგრძელდა სხვების უნარების

³ www.gnerc.org/uploads/angarishi/1999.1.pdf

გაუმჯობესება, ხოლო საქართველოს მომუშავეთა კვალიფიკაცია გაუარესდა მრავალი წლის უმუშევრობის შედეგად. ასპარეზზე ახლად გამოსულები, მაგალითად აღმოსავლეთ აზიელები, ფაქტობრივად გამოჩნდნენ ყველა იმ სექტორში, რომლითაც საქართველო იყო ცნობილი. უარესი სიტუაცია შეიქმნა აგრარულ სფეროში, სადაც საქართველოს პროდუქციას მკაცრ მეტოქეობას უწევდნენ როგორც შიგა, ისე მისთვის ტრადიციულ, ყოფილი სსრკ-ის ბაზრებზე, ხოლო ახალი ბაზრების მოძიება ძალიან რთული ამოცანა იყო.

სხვა ამბავი შეიძლება აღინეროს დამოუკიდებელი საქართველოს მონეტარული სისტემის შესახებ. ქვეყანა 1993 წლის აპრილამდე რუსულ რუბლს იყენებდა; ამის შემდეგ შემოიღო გაცვლის ადგილობრივი საშუალება კუპონი – 1 აშშ დოლარი 500 კუპონს უტოლდებოდა. ადვილი წარმოსადგენია, რა დამართა მთავრობამ (ცროვნულ ბანკთან ერთად) კუპონს, თუ გავითვალისწინებთ, როგორი იყო ამერიკული დოლარის საბოლოო კურსი – 1,300,000 კუპონი, ანუ 2,600-ჯერ უფრო მაღალი. 1995 წელს მთავრობამ გადაწყვიტა მიმოქცევაში გამოეშვა ახალი ვალუტა – ლარი, კურსით 1.3 ლარი ერთ დოლართან.

პრივატიზება

პრივატიზების პირველი მცდელობა ჯერ კიდევ პირველ დამოუკიდებელ მთავრობას ჰქონდა 1991 წელს. ამ საქმიანობისთვის მან პირველი დეპარტამენტიც კი შექმნა, მაგრამ ეს იყო დიდი რყევების დრო და პოლიტიკოსებს პრივატიზება არ აინტერესებდათ.

კერძო საკუთრება დამოუკიდებლობის პირველივე დღებიდან იქნა ნებადართული და მთავრობას ესმოდა წარმოების საშუალებების პრივატიზების მნიშვნელობა. საერთაშორისო ინსტიტუტებმა და დასავლელმა მეგობრებმა მხარი დაუჭირეს ამ პროცესის დაუყოვნებლივ დაწყებას, მაგრამ პოლიტიკურმა პროცესმა და განსაკუთრებით პოლიტიზებულმა და პოპულისტურმა პროპაგანდამ ამ პროცესის შენელება გამოიწვია.

მრავალი ექსპერტი და პოლიტიკოსი შეცდომით ფიქრობდა, რომ ინდუსტრიული კომპანიების აქტივები მაღალი ღირებულების იყო და შეეძლო კარგი როლი ეთამაშა ახალ ეკონომიკურ სიტუაციაში (აგრარულ სექტორთან ერთად). ამ საწარმოების ნამდვილი ღირებულება კი იქ არსებული ჯართი და მათ მიერ დაკავებული მინა

იყო. ეს ნაწილობრივ მაინც ცნობილი იყო ამ საწარმოების ხელმძღვანელებისთვის. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ პრივატიზებას, რადგან საკუთარი ინტერესები ჰქონდათ – უნდოდათ ამ რესურსების უფასოდ მოხმარება და მოპარვაც კი. ამის შედეგად, პროცესი ხელოვნურად შენელდა და ეკონომიკური გაფანსალებაც თითქმის შეუძლებელი გახდა.

სუსტი იყო მიწის საკუთრების ლიბერალიზების მცდელობაც. ერთადერთი წარმატებული მაგალითი იყო ბინების პრივატიზება, როდესაც მფლობელებმა მყისიერად და უფასოდ მიიღეს საკუთარი საცხოვრებლები.

საგადასახადო და ფისკალური პოლიტიკა

დამოუკიდებლობის პირველ წლებში თითქმის არ არსებობდა გადასახადების აკრეფა და სახელმწიფო ბიუჯეტი. გადასახადები ისევ საბჭოთა კანონებით გროვდებოდა. საკუთარი საგადასახადო კანონები პირველად მხოლოდ 1994 წელს იქნა მიღებული და მასზე დაყრდნობით – 1995 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი ჩარჩო. საქართველოს ისტორიაში პირველად მიიღეს დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი და სხვა ეროვნული გადასახადები.


ამავე პერიოდში საქართველომ დაიწყო ახალი კანონმდებლობის დანერგვა, მათ შორის ეკონომიკური ცხოვრების მარეგულირებელი აქტების. მათი უმრავლესობა გერმანულიდან ითარგმნა. ამ ნაბიჯით საქართველომ აირჩია კონტინენტური სამართალი, მკაფიო მიზეზებისა და გაზრების გარეშე, თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოპყოლოდა ამას.

1990-იანი წლების მეორე ნახევარი

საქართველო 1990-იან წლების მეორე ნახევარს ბოლო 30 წლის მანძილზე ყველაზე დაბალი ეკონომიკური აქტივობით შეხვდა. 1995 წელი ქვეყნის ცხოვრებაში შემობრუნების წელი იყო: ახალი კონსტიტუცია, ახლადარჩეული პრეზიდენტი და პარლამენტი, ახალი ვალუტა და მრავალი სხვა ახალი ინსტიტუტი იქნა შემოღებული. ეს იყო წლები დიდი ენთუზიაზმისა და მცდელობისა ახალი სახელმწიფოს შექმნისათვის დასაგლური გამოცდილების მიხედვით. ცხოვრებამ აჩვენა, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ბრმად გადმოღება დიდად ვერ დაეხმარა ხელახლა შექმნილ დემოკრატიას.

პარლამენტმა ამ პერიოდში 900-მდე ახალი კანონი და რეგულირება მიიღო, ეკონომიკა ნელ-ნელა ამოქმედდა, თუმცა კვლავ სერიოზული გეოპოლიტიკური და ენერგეტიკული რისკების პრობლემებში იყო გახვეული.

მთავრობამ მრავალი ახალი ინიციატივა წამოიწყო პრივატიზების, მიწის საკუთრების, სხვადასხვა სექტორში საერთაშორისო თანამშრომლობის ჩათვლით, მათ შორის, ენერგეტიკის სფეროში. ათასობით ახალი კომპანია დაფუძნდა, დასაქმებასაც ზრდის ტენდენცია ჰქონდა. მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა ამ პერიოდის პირველ წლებში მაღალი იყო, თუმცა ქვეყანა მაინც უკიდურეს სიღარიბეში რჩებოდა⁴, როგორც ეს ჩანს შემდეგ გრაფიკზე(საერთაშორისო ამერიკული დოლარი, მსოფლიო ბანკი):




აზის 1997 წლის კრიზისი და საქართველო

მიუხედავად სიშორისა და მცირე კავშირისა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზის ფინანსურ კრიზისს მოულოდნელად მკაცრი შედეგები მოჰყვა საქართველოს ძალიან მცირე და მოწყვლადი ეკონომიკისთვის. კრიზისმა დაბლა დასწია ფასების დონე, მათ შორის ნავთობსა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე, რამაც შეარყია რუსეთის ეკონომიკა, რომელიც ჯერ კიდევ მთავარი საგაჭრო პარტნიორი იყო საქართველოსთვის – საქართველო-რუსეთის ვაჭრობის წილი მთლიან საგარეო ვაჭრობაში ამ პერიოდში საშუალოდ 16% იყო.

⁴ www.data.worldbank.org

ქვემოთ გრაფიკი აჩვენებს რუსული ექსპორტ-იმპორტის წილს საქართველოს საგარეო ვაჭრობაში 1995-2003 წლებში⁵:




საინტერესოა ასევე შევხედოთ რუსეთთან ვაჭრობის რეალურ ღირებულებებს ამავე პერიოდში (საქსტატი, ათასი ლარი):

	1995	1996	1997	1998	1999
ექსპორტი რუსეთში	48,634	57,582	69,273	54,936	47,601
იმპორტი რუსეთიდან	49,323	127,394	124,911	125,129	104,645
	2000	2001	2002	2003	
ექსპორტი რუსეთში	67,109	73,555	61,048	83,840	
იმპორტი რუსეთიდან	93,225	91,920	121,662	157,891	

⁵ წყარო: საქსტატი.

ამ კრიზისს ძლიერი და გრძელვადიანი გავლენა ჰქონდა საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაზე. განსაკუთრებით კატასტროფულად აისახა ეს მთავრობის შემოსავლებზე, რომელიც 1999 წელს 15 პროცენტამდე დაეცა და 1997 წლის დონემდე მხოლოდ 2001 წელს აღდგა. ამ სიტუაციაში ედუარდ შევარდნაძის მთავრობას გადასარჩენად მრავალი დახმარება და იაფი კრედიტები გადაეცა, რამაც, სამწუხაროდ, უკეთესი ეკონომიკური პოლიტიკის ძიების იდეები ჩაანაცვლა და მთავრობაც მიეჩვია ამ დახმარებას⁶.



1997 წელს საქართველოს მთავრობამ კვლავ სცადა უფრო ჯანმრთელი საგადასახადო სისტემის დანერგვა. ამჯერად ახალი კოდექსი საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინადადებაზე იყო დაფუძნებული, თუმცა მთავრობამ შემდგომში მრავალი დამატებითი გადასახადი და სახელმწიფო გადასახდელებიც დანერგა, რომელიც არ იყო თავდაპირველ კანონი. სხვადასხვა ტიპის შიგა კონფლიქტურმა სიტუაციებმა(გადასახადის მოგროვება, განაწილება, გადანაწილება და მენეჯერული საკითხები) შექმნა კოდექსის მრავალი ცვლილების საჭიროება; დათვლილი იყო, რომ პარლამენტმა სულ 300-ზე მეტი ცვლილება გააკეთა 1000-ზე მეტ დებულებაში.

ძალიან ძნელი იყო, თუ არა შეუძლებელი, ყველა საგადასახადო წესის დაცვა; ორმაგად წაკითხვადი, კონსტიტუციის და საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკის საწინააღმდეგო დებულებები, გადახდის შესაძლებლობაზე უფრო მაღალი საგადასახადო განაკვეთები,

⁶ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია.

გადასახადებისა და მოსაკრებლების დიდი ოდენობა, საგადასახადო და საპაუო თვითმეტების დაბალი კვალიფიკაცია და ხელფასები — ამ ყველაფერს მხოლოდ გადასახადების მასობრივ თავის არიდებამდე და კორუფციამდე შეიძლება მიეყვანა ქვეყანა. საგადასახადო ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი იყო, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. ბიზნესის დაწყება ჰეროიკული იდეა იყო და წესისმიერი მენარმე კრიმინალად შეიძლება ქცეულიყო აღრიცხვასა და გადასახადების გამოანგარიშებაში დაშვებული მცირე შეცდომების გამო. ეს კარგად გამოადგა ხელისუფლებას ბიზნესზე ზენოლისთვის, ამ ზენოლამ კი ბიზნესის დისკრედიტება და ეკონონომიკის დასუსტება გამოიწვია.

ფისკალური პოლიტიკა ისევე რყევადი იყო, როგორც საგადასახადო კოდექსი. საბიუჯეტო სისტემა, რომელიც მთლიანად დამყარებული იყო რესურსების განაწილების საბჭოთა მეთოდზე, არ ტოვებდა შესაძლებლობას ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალებისთვის. რესურსები გამოიყენებოდა ძალაუფლებისა და პოლიტიკურ იერარქიაში პოზიციის მიხედვით. ხარჯები არ იყო დაკავშირებული მოსალოდნელ შედეგებთან. შემოსავლების ზრდისა და დაცემის შემდგომ ნებისმიერი ხარჯი გადარჩენის მორიგი ოპერაცია იყო ერთ-ერთი სააგენტოს ვალების გასასტუმრებლად, ხელფასებისა და პენსების დავალიანების დასაფარად, და ა.შ.

მთავრობის შემოსავლების შეგროვება ძალიან შემცირდა და როგორც ზემოთ ითქვა, იგი მიეჩვია საერთაშორისო დახმარებას — ფინანსური მხარდაჭერის ნებისმიერი მცირე თანხაც უკვე მიღწევად აღიქმებოდა. უცხოური სესხები და გრანტები მთავრობის შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. სესხების საშუალო პროპორცია მთავრობის შემოსავლებში დაახლოებით 17 პროცენტს უტოვდებოდა, ხოლო გრანტების — 7%.

ამავდროულად მთავრობა საკანონმდებლო შეცდომებს მახეში გაება. ის ცდილობდა რაც შეიძლება მეტი კანონი მიეღო საქმიანობის ლეგალური გარემოს შესაქმნელად და უცხოური ინვესტიციების წასახალისებლად მათთვის იმავე პირობების შეთავაზებით, რაც მსოფლიოს სხვა ადგილებში დახვდებოდათ. კანონმდებლობის ამ ხელვიწურმა ჰარმონიზაციის დიდი წარმატება არ მოიტანა, სამაგიეროდ შექმნა უამრავი ახალი სამთავრობო სამსახური, ბიუროკრატია, ინსპექტორები და ზედამხედველები. ამ ინსტიტუტებს არასდროს ჰქონიათ დადებითი გავლენა ეკონომიკურ სიტუაციაზე მათი გამოყენების სრული გამოუცდელობის, მართვის

გაუმჯობესობის, არასწორად შედგენილი წესების ინტერეს-ჯგუფების მოქმედებისა და სხვა მიზეზთა გამო. სამაგიეროდ ტოტალური მექრთამეობისა და კორუფციის სისტემად ჩამოყალიბდა.

საქართველოში დანაშაული გაფართოვდა — ბანდები კერძო და საჯარო ცხოვრების მრავალ სექტორს აკონტროლებდნენ. პოლიცია არაკომპეტენტური, განუვითარებელი, არასაკარისად აღჭურვილი და კორუმპირებული იყო. მრავალი ინსპექცია არსებობდა ფასების, კონკურენციის, სურსათის ხარისხის, ენის და მრავალი სხვა საკითხების შესამოწმებლად. მათი ყველაზე მნიშვნელოვანი "დავალება" იყო ქრთამების მოგროვება. ხმირ შემთხვევაში ეს არ იყო დიდი თანხები, მაგრამ იმისათვის, რომ საქმიანობა გაეგრძელებინათ, ბიზნესებს მცირე ქრთამი მაინც უნდა გაელოთ. კორუფციული გარიგებები ხდებოდა გარკვეული ტიპს ეკონომიკური საქმიანობის ან ბუნებრივი რესურსების გამოყენებისთვის ლიცენზირების და ნებართვების მისაღებად. ამ მოთხოვნების უმრავლესობის შესრულება შეუძლებელი იყო და, შესაბამისად, ბიზნესები იძულებული იყვნენ არალეგალურ საქმიანობაში მიეღოთ მონანილეობა, დაემალათ მათი გადასახადებს დაქვემდებარებული ბიზნესები და არალეგალურად ეთანამმრომლათ შემმოწმებლებთან. ბიზნესის კეთება კანონის დარღვევის გარეშე წარმოუდგენელი იყო.

ენერგიის მიწოდება უდიდეს პრობლემად რჩებოდა როგორც ბიზნესისათვის, ასევე ოჯახებისათვის. დედაქალაქში ბუნებრივი გაზი 1990-იანი წლების ბოლოს დაბრუნდა, მაგრამ ქვეყნის დანარჩენი ტერიტორია მიწოდების გარეშე რჩებოდა. ელექტროენერგიის მიწოდება კვლავ სეზონური იყო. უკეთესი მდგომარეობა იყო ზაფხულში, მაგრამ ძალიან შეზღუდული ან სრულიად მიწოდების გარეშე — ზამთარში. ეს სექტორი ისევ ძველებურ რეჟიმში მოქმედებდა: იგი ოპერირებული იყო ინტერეს-ჯგუფების მიერ, რომელიც რუსეთის ენერგიის მიმწოდებელ შიგა კლანებთან თანამშრომლობდნენ. ეს ჯგუფები, ამავდროულად, პოლიტიზებას უკეთებდნენ ამ სექტორს, რითიც თავს არიდებდნენ მის სრულ კომერციალიზაციას.

თუმცა თბილისის ელექტროდისტრიბუციის სისტემის პრივატიზება ამერიკული კომპანიისთვის პირველი პოზიტიური ნაბიჯი იყო ამ სფეროში, იგი მაინც პოლიტიკური გარემოებების მახეში გაება. კომპანია პოლიტიზებულ მოქმედებებში ჩაერთო და ვერ ახერხებდა მთავარი ვალდებულება შესრულებინა მომხმარებლების მიმართ — მიწოდებინა ენერგია. ქვეყნის სხვა ადგილებში ენერგიის მიწოდება

პოლიტიკოსების მიერ კონტროლდებოდა, უმრავლეს შემთხვევაში ესენი იყვნენ ადგილობრივი ლიდერები. საწვავის მიწოდების ფირმებზე ადგილობრივ ლიდერებს ხელი წაკლებად მიუწვდებოდათ, თუმცა მათი უმრავლესობაც პოლიტიკური კლანების კონტროლქვეშიყო.

ახალი კომპანიების შექმნის გარკვეული ენთუზიაზმის მიუხედავად, მათი რიცხვი შენარჩუნდა დაბალ — დაახლოებით 40 ათასის დონეზე, რომელთაგან მხოლოდ დაახლოებით მეოთხედი იყო მოქმედი. შედეგად, ამ პერიოდის ბოლომდე უმუშევრობის დონე ძალიან მაღალი იყო და ოფიციალურად დასაქმებულთა თითების ორი მესამედი საჯარო სექტორში მუშაობდა.

კორუმპირებულობის გარდა საჯარო სექტორი ასევე ძალიან არაეფექტურიანიც იყო. ზედა დონის მთავრობა ძალიან მარტივ გადაწყვეტილებებსაც ვერ იღებდა. ეს იმ დროს როდესაც ქვედა დონის ინსტიტუტები და პოლიტიკოსები მხოლოდ ქრთამის მოგროვებით იყვნენ დაკავებული, რისთვისაც ქმნიდნენ ინტერეს-ჯგუფების ლობირებულ ბიუროების მარიერებს.

ვარდების რევოლუცია და 2004-2012 წლების რეფორმები

1990-იანი წლების და 2000-იანი წლების დასაწყისის სტაგნაციამ ძალიან დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია შექმნა საქართველოში. მოსახლეობა დალლილი იყო სიღარიბისა და ფართოდ გავრცელებული კორუფციისგან. 2003 წლის არჩევნები ჩაითვალა არადემოკრატიულად, რამაც მთელ ქვეყანში გამოიწვია ქუჩის მასობრივი პროტესტი ამომრჩევლის უფლებებისათვის.

ახალმა რევოლუციურმა მთავრობამ პირობა დადო, შეექმნა ახალი საუკეთესო ბიზნეს-გარემო და სამართლიანად გადაენანილებინა უსამართლოდ და უკანონოდ განაწილებული აქტივები. პირველ ამოცანას მთავრობა ძალიან სერიოზულად მოეკიდა და მრავალი ნაბიჯი გადადგა მის შესასრულებლად.

პირველ რიგში მთავრობამ გადაწყვიტა მოენესრიგებინა საგადასახადო სისტემა. 2005 წლის საგადასახადო რეფორმამ გააუქმა გადასახადების უმეტესობა და მათი რაოდენობა 22-დან 7-მდე შეამცირა (სოციალური და საბაზო გადასახადების ჩათვლით). 2007 წლის შემდეგ სოციალური გადასახადიც გაუქმდა და გადასახადების დღევანდელი რაოდენობა

მხოლოდ ექვსია. ამავდროულად საგადასახადო რეფორმამ შემაცირა დარჩენილი გადასახადების განაკვეთებიც:


- დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი – 20-დან 18 პროცენტამდე;
- საშემოსავლო გადასახადი შემცირდა 20%-მდე. ადრე შრომის ანაზღაურების დარჩენილი გადასახადი სოციალურთან ერთად 39 პროცენტის ფარგლებში იყო (მოქმედებდა 4 პროგრესიული განაკვეთი 12%-დან 20%-მდე). არსებობდა საკანონმდებლო დაპირება საშემოსავლო გადასახადის 15%-მდე შემცირებასთან დაკავშირებით, თუმცა არ შესრულდა;
- მოგების გადასახადი იყო 20% და გახდა 15%;
- საბაჟო (საიმპორტო) გადასახადების განაკვეთები ასევე შემცირდა (და ბევრ შემთხვევაში გაუქმდა) უმაღლესი 32%-დან 12%-მდე და აქტუალური საშუალო საიმპორტო გადასახადი 1%-მდე.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს საქართველოს რეალურ ლიდერობას ბაზრების გახსნილობის თვალსაზრისით (*An Appraisal of the EU's Trade Policy towards its Eastern Neighbours⁷*):

	გამოყენებული ტარიგები (%)			
	ყველა საქონელი	აგრარული	ინდუსტრიული	
ევროკავშირი	5.9	13.5	4.5	
მოლაპარაკებში მყოფი წევრობის კანდიდატები				
ხორვატია	4.3	10.7	4	
თურქეთი	9.7	42.9	4.8	
მაკედონია	7.3	13.4	6.4	
თავისუფალი ვაჭრობის მოლაპარაკებებში მყოფი ქვეყნები				
კორეა	12.1	48.6	6.6	
უკრაინა	4.6	9.7	3.8	
ქვეყნები, რომელიც აპირებენ მოლაპარაკების დაწყებას				
სომხეთი	2.8	6.8	2.2	
საქართველო	1.3	7.7	0.3	
მოლდოვა	4.9	10.7	3.7	

⁷ [www.ceps.be/book/appraisal-eu%20%99s-trade-policy-towards-its-eastern-neighbours-case-georgia](http://www.ceps.be/book/appraisal-eu%20%80%99s-trade-policy-towards-its-eastern-neighbours-case-georgia)

საქართველო მსოფლიოში ვაჭრობის თავისუფლების მიხედვით ერთ-ერთ ლიდერად იქცა; სავაჭრო გახსნილობა და სამართლიანობა ქვეყნის იმიჯი გახდა. ფრეიზერის ინსტიტუტის მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების კვლევამ 2013 წელს საქართველო მსოფლიოს 154 ქვეყანას შორის მე-8 ადგილზე აღიარა ვაჭრობის თავისუფლებაში; ქვემოთ მოყვანილი რუკა, რომელიც ეკონომიკური თავისუფლების ბლოგზე გამოქვეყნდა, შესანიშნავად უკეთებს ამას ილუსტრირებას⁸:




საგადასახადო კოდექსი გამარტივდა და უფრო გამჭვირვალე გახდა, გადასახადების დეკლარირება სავალდებულოა ინტერნეტის საშუალებით. ამ რეფორმამ წაახალისა ეკონომიკა და მრავალჯერ გაზარდა მთავრობის შემოსავლებიც ინტენსიფიცირებული საქმიანობისა და ბიზნესის ლეგალიზაციის შედეგად.


შემდეგი გრაფიკი აჩვენებს 2005 წლის საგადასახადო რეფორმის შედეგებს საგადასახადო შემოსავლების ზრდის ნაწილში⁹:

⁸ www.economicfreedom.org/2013/12/31/economic-freedom-interactive-map/?utm_source=Twitter&utm_medium=Tweet&utm_campaign=1.6.13_economic+freedom+interactive+map

⁹ ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია



მომდევნო გრაფიკი, რომელიც 1995 წლიდან 2013 წლის ჩათვლით საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას ასახავს, ნათლად გვიჩვენებს სავაჭრო ლიბერალიზაციის პოლიტიკის წარმატებას (საქსტატი, მილიონი აშშ დოლარი):



ლიბერალიზაციის მცდელობა მთავრობის ზომის შემცირების გარეშე ვერ მოიტანს საუკეთესო შედეგს. რევოლუციური მთავრობა კარგად გაერკვია ამ პრობლემაში და მრავალი ნაბიჯი გადადგა მის გადასაწყვეტად, მათ შორის:

- საჯარო სამსახურების რაოდენობის შემცირება;
- საჯარო მოსამსახურების რაოდენობის შემცირება;
- საჯარო საკუთრების პრივატიზება და კომერციალიზაცია, პორტების და აეროპორტების ჩათვლით;
- მიწის პრივატიზება.

სხვა რეფორმა, რომელმაც საქართველოში ბიზნესი გაადვილა იყო დერეგულირება — 800-ზე მეტი ლიცენზია და ნებართვა გაუქმდა 2006 წლის შემდეგ. რეფორმების ერთ-ერთი დიდი მიღწევა იყო ახალი შრომის კოდექსი, რომელმაც შრომითი ურთიერთობების, დასაქმების, სამახურში აყვანისა და დათხოვნის პროცედურების ლიბერალიზება მოახდინა. ჰერიტიჯის ფონდის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი რეგულირებას ოთხი მიმართულებით აფასებს და საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობა მსოფლიოს 185 ქვეყანას შორის ასეთ ადგილებს იკავებს¹⁰:


შრომის თავისუფლება	3
ბიზნესის თავისუფლება	16
ინვესტიციის თავისუფლება	28
ფინანსური თავისუფლება	44

ახალმა ღია გარემომ ახალი ფირმებისთვის ძალიან ადვილი გახადა საქართველოს ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში შესვლა. მაგალითად, საქართველომ ცალმხრივად აღიარა მედიცინის, საკვების და სხვა სამომხმარებლო საქონელზე და სერვისებზე ეთგო-ს (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) ქვეყნების სტანდარტები; ასეთმა ნაბიჯმა, მაგალითად, ნება მისცა ამ ქვეყნების ბანკებს საქართველოს შიგა ნებართვების გარეშე ემოქმედათ მის ტერიტორიაზე.

შრომაზე გადასახადების შემცირებასთან ერთად, ამ რეფორმაზე შესაძლებელი გახადა დასაქმების და შრომის ანაზღაურების

¹⁰ www.shop.heritage.org/2013-index-of-economic-freedom9674.html

გაუმჯობესება, რამაც, თავის მხრივ, მრავალი წლის უკანონო და ფარული დასაქმების შემდეგ შრომითი ურთიერთობების ლეგალიზაცია მოიტანა. ქვემოთ გრაფიკი აჩვენებს საშუალო ხელფასის შთამბეჭდავ ზრდას რეფორმების წლებში (ლარი, საქასტატი)¹¹:



ძალიან მნიშვნელოვანი იყო ბიზნესისთვის ძალადობის და მაფიის გავლენისაგან თავის დაღწევა, რაც კიდევ ერთი უმთავრესი რეფორმის – პოლიციის რეფორმის მთავარი მიზანი იყო. უპირველესად ეს საორგანიზაციო ხასიათს შეეხებოდა — პოლიციის საქმიანობა გამჭვირვალე გახდა. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო პოლიციასა და კრიმინალურ სამყაროს შორის კავშირების და ნებისმიერი თანამშრომლობის გაუქმება. ძველებური ყაიდის, კომუნისტური პერიოდის პოლიციის ტიპის სამსახური მთლიანად იქნა დათხოვნილი და მათ ნაცვლად ახალი პოლიციელები – ნავარჯიშევი, განათლებული და ახალი ამოცანებისთვის აღჭურვილი – იქნა აყვანილი. რეფორმის დაწყებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ყველასათვის გასაკვირად, დანაშაულმა დაკულო ყველაზე განვითარებული ერების დონემდე, კრიმინალური სტატისტიკა გაუმჯობესდა ძალიან მცირე რაოდენობის რეგისტრირებულ საქმეებამდე წელიწადში და პოლიციისადმი ნდობა კი ნულიდან 80%-ზე მაღლა გაიზარდა.


¹¹ www.geostat.ge

რეფორმების დასაწყისიდანვე მრავალ კვლევაში აღინიშნა, რომ საქართველო ბიზნესისადმი მეგობრულ ქვეყნად იქცა. 2013 წლის რეიტინგები სამი კვლევის მიხედვით ასე გამოიყურება:

- ბიზნესის კეთების სიმარტივე, მსოფლიო ბანკი, — მე-8 ადგილი მსოფლიოში;
- ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოში, ფრეიზერის ინსტიტუტი — 25-ე ადგილი,
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი — 21-ე ადგილი.

ეს კვლევები აღნიშნავენ ძალიან მნიშვნელოვან გაუმჯობესებას ბიზნესის დაწყების, ვაჭრობის თავისუფლების, ფირმების და საკუთრების რეგისტრაციის, ეკონომიკის რეგულირების, სამშენებლო ნებართვების გაცემის პროცედურების გაადვილების მხრივ. კვლევების მიხედვით საქართველო ერთ-ერთი ყველაზე ღია და თავისუფალ ბიზნეს გარემოდ იქცა, ძალიან მცირე ან არანაირი შეზღუდვებით უცხოურ ინვესტიციებსა და იმპორტზე.

ეს პერიოდი ასევე ძალიან აქტიური იყო პრივატიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში გაყიდული სახელმწიფო საწარმოების რაოდენობა ნაკლები იყო, ვიდრე წინა წლებში, მათი საერთო საპრივატიზებო ღირებულება გაცილებით მაღალი იყო. გთხოვთ, იხილოთ შემდეგი გრაფიკი (მარცხნივ გადათვლილია პრივატიზებული საწარმოების რაოდენობა, ხოლო მარჯვნივ — შემოსავლები პრივატიზებიდან. სვეტები აჩვენებს შემოსავლების ზრდას, მლნ აშშ დოლარი, წყარო: Why Georgia Succeeded, Larisa Burakova, OOO United Press, Moscow, 2011):



ამადროულად, ზემოაღნიშნულმა კვლევებმა აჩვენა საკუთრების დაცულობის პოლიტიკის გადახალისების საჭიროება. მიუხედავად ძალიან ეფექტური ზომებისა კერძო საკუთრების დასაცავად ძალადობისა და დანაშაულისაგან, ასევე საკუთრების ტიტულის მაღალი გარანტის მქონე ხარისხის რეგისტრაციის სისტემის შექმნისა, მთავრობა დადანაშაულებული იყო ძალაუფლების გადამეტებასა და უკანონო კონფისკაციაში. ეს ხდებოდა განსაკუთრებით ეგრედწოდებული საჯარო ინტერესის სიტუაციებსა და კანონიერების აღდგენის ღონისძიებების გამო. დასრულება ჭირდება გაკოტრების და კონტრაქტების აღსრულების კანონმდებლობას.

ძალიან საინტერესოა დავაკვირდეთ ეკონომიკის ზოგიერთი სექტორის დინამიკას ბოლო წლებში. ყოფილი "განვითარებული ინდუსტრიის" ქვეყნის ბოლო წლების მშპ ძირითადად მომსახურების სექტორში იქმნებოდა. ქვემოთა ცხრილში ასახულია მშპ-ს თანდათანობითი ცვლილება სექტორებს შორის (მილიონი ლარი, საქსტატი)¹²:


	1996	2004	2012	ზრდა
აგრარული სექტორი	1,912	2,420	3,019	58%
სამთო მოპოვება	44	152	390	796%
მრეწველობა	965	1,928	6,592	583%
ელექტროენერგია, გაზი და წყლის მიწოდება	250	531	1,037	314%
მშენებლობა	171	1,503	4,472	2516%
ვაჭრობა	724	1,791	4,956	585%
სასტუმროები და რესტორნები	111	408	1,069	864%
ტრანსპორტი	238	1,387	2,792	1073%
კომუნიკაცია	55	548	982	1673%
ფინანსური შუამავლობა	43	201	1,016	2250%

¹² საქსტატი

ცხრილი უდავოდ ცხადყოფს მოთხოვნის ცვლილებას და ეკონომიკის პასუხს მასზე. ბიზნეს სექტორები განსხვავებულ ზრდას განიცდიდნენ და მკაფიო ლიდერობა მომსახურების სექტორებმა აიღეს თავის თავზე. ასეთი განვითარების მთავარი მიზეზი ლიბერალიზებული გარემო და სექტორებისთვის მიცემული თავისუფლება იყო.

ამავდროულად, დასაქმებულთა რიცხვი ამ სექტორებში არ შეესაბამება მათი მშპ-ში კონტრიბუციის პროპორციას. მომუშავეთა რაოდენობა აგრარულ სექტორში მთლიანი სამუშაო ძალის 50%-ზე მეტია, ხოლო მისი მთლიანი შენატანი მშპ-ში 10%-ზე დაბალი. განვითარებული ქვეყნებისთვის, რომლებსაც ყველაზე ეფექტიანი აგრარული წარმოება აქვთ, ეს ორივე მაჩვენებელი 5%-ზე დაბალია.

ცხრილში ჩანს, რომ ერთ-ერთი ყველაზე დინამიური ამ ნლებში ფინანსური სექტორი იყო. შემდგომი გრაფიკი საქართველოს ბანკებში არსებული დეპოზიტების საერთო მოცულობის 10-ჯერადი ზრდის შესახებ 2003-2012 წლებში კიდევ ერთხელ ადასტურებს ამას (მილიონი ლარი, საქსტატი):



საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ახალი ბაზრებისკენ გზის გამონახვა და რუსულ ბაზარზე დამოკიდებულების დასრულება. ამას ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა:

- ახალი მიმართულებების, ბაზრების და შესაძლებლობების მოძებნა;
- ეკონომიკური რესურსის შემცირება.

როგორც ეს წინა სექტორებში იქნა აღნერილი, რუსულ ბაზარზე დამოკიდებულება პირველ რიგში ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შემზღვედველი ფაქტორი იყო. მეორე მხრივ, ეს სხვის ხარჯზე ცხოვრების მიჩვევას გამოიწვევდა და მესამე – ეს კარგი შანსი იქნებოდა რუსეთის ხელისუფლებისთვის გაეკონტროლებინა საქართველოს პოლიტიკა. გარდამავალ პერიოდში წარმოშობილი ბევრი ეკონომიკური პრობლემა სწორედ ზემოთჩამოთვლილი საკითხებიდან მოდიოდა.

რუსეთის დომინირება საქართველოს გარე ვაჭრობაში გარდამავალ პერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო ენერგიის მიწოდების სექტორში. საქართველო მყაცრად დამოკიდებული იყო ბუნებრივი გაზის და ელექტროენერგიის რუსულ წყაროებზე, განსაკუთრებით – ზამთრობით. ეკონომიკური აქტივობის გრძელვადიანი შეჩერების გარდა, ენერგიის შეზღუდვებმა ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრებაზეც დიდი გავლენა მოახდინა. ამის გამო ენერგიის მიწოდების საკითხი ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ პრიბლემად იქცა. მთავრობა, რომელმაც მეტყვიდრეობით მიიღო მთლიანად კორუმპირებული საბჭოთა სისტემა, შეეცადა სიტუაციის გამოსწორებას. საქართველომ გზა მისცა კასპიის ზღვიდან დასავლეთისკენ ენერგიის ახალ მარშრუტებს რკინიგზითა და მილსადენებით. დერეგულირებამ, პრივატიზებამ, ლიბერალიზებამ და დეპოლიტიზებამ 2000-ანი წლების მეორე ნახევარში, გამოიწვია რეგიონება და ქვეყანაში ენერგიის მიწოდების რუსეთის ჰეგემონიის მსხვრევა. რევოლუციის მთავრობამ ასევე მტკიცედ განსაზღვრა, რომ ენერგიის მიწოდება დაემყარებოდა მარტივ წესს — გადაიხადე და მოიხმარე.

ამ ნაბიჯებმა შესაძლებელი გახადა ენერგიის მიწოდების პრობლემების გადაჭრა რევოლუციიდან რამდენიმე წელიწადში. ეს განსაკუთრებით დაჩქარდა რუსეთის მიერ გამოწერილი ენერგეტიკულ-პოლიტიკური სასჯელის გამო. იგი მრავალჯერ ეცადა დაეშანტაჟებინა საქართველოს მოსახლეობა ენერგიის მიწოდების შეფერხების საშუალებით. ბუნებრივი გაზის მიწოდების ბოლო შეჩერება მთავარი მილსადენის აფეთქების შედეგად 2006 წლის ცივ ზამთარში მოხდა და განპირობა ყველაზე მნიშვნელოვანი გრძელვადიანი შეთანხმების დადება აზერბაიჯანთან.

ასობით მილიონმა ახალმა ინვესტიციამ ელექტროენერგიის გენერაციისა და გადაცემის სისტემებში საქართველოს მისცა


შესაძლებლობა, რომ ელექტროენერგია ქვეყნის გარეთ გაეყიდა. შემდეგი ცხრილი ასახავს ელექტროენერგიის სავაჭრო ბალანსს 2002-2012 წლებში (მილიონი კვტ/სთ)¹³:

წლები	2007	2008	2009	2010	2011	2012
ექსპორტი	633.9	679.4	749.4	1,524.3	930.6	528.2
იმპორტი	433.5	649.2	255.0	222.1	471.0	614.6
ბალანსი	200.4	30.2	494.4	1,302.2	459.6	-86.4


საქართველომ ექსპორტზე თითქმის ორჯერ მეტი ელექტროენერგია გაიტანა ვიდრე შემოიტანა 2007-2012 წლებში (5 მლრდ კვტ/სთ 2.6 მლრდ კვტს/სთ-ს წინააღმდეგ). მაგრამ 2012 წელმა მკაფიოდ გვიჩვენა, რომ ეს ბალანსი მყარი და მდგრადი არ არის, რადგანაც ქვეყანა ვითარდება და მოხმარება იზრდება.

ეკონომიკური რეპრესიების სხვა სახე, რომელიც რუსეთის მთავრობამ საქართველოს დაუწესა, 2006 წლის შემდგომი ეკონომიკური ბლოკადა იყო. რუსეთმა დაბლოკა ქართული ღვინოების, ხილის და მინერალური წყლების იმპორტი. ითვლებოდა, რომ ამ და სხვა სექტორებში რუსეთი ქართველი მწარმოებლებისთვის ყველაზე დიდი ბაზარი იყო და მათი ექსპორტის შეჩერებას შეეძლო მთელი ქვეყნის შერყევა. შედეგი სრულიად სანინააღმდეგო აღმოჩნდა — საქართველომ ფუნდამენტურად გააუმჯობესა ამ საქონლის ხარისხი, რამდენიმე წელიწადში იპოვა ახალი ბაზრები და აღადგინა ექსპორტის მოცულობები. როგორც შემდეგი გრაფიკი გვიჩვენებს, საქართველოს ეკონომიკური ზრდა სწორედ 2007 წელს, რუსეთის მიერ ეკონომიკური ბლოკადის დაწყების შემდეგ იყო ყველაზე მაღალი (მშპ, მილიონი აშშ დოლარი, მუდმივი 2003 წლის ფასებში, საქსტატი):


¹³ www.minenergy.gov.ge/en/Statistic



გახსნილობამ და თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკამ, რომელიც საქართველომ შემოიღო, ახალი შესაძლებლობები გააჩინა სავაჭრო მიმართულებების გასაფართოებლად და პარტნიორების გეოგრაფიის დივესიფიკაციისთვის. მომდევნო ორი გრაფიკი ამ დიდი გადანაცვლების რეალურ არსს დაგვანახვებს¹⁴:



¹⁴ საქსტატი



საქართველო — ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი 2000 წლიდან, აგრძელებდა საკუთარ მცდელობას მეზობლებთან და სხვა პარტნიორებთან მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობის და ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმების მისაღწევად და, ასევე, ნერგავდა საზღვრის გადაკვეთის პროცედურების საუკეთესო გამოცდილებას.

მიმდინარე დისკუსია იმაზე, თუ ეკონომიკის რომელი მიმართულებაა უფრო მნიშვნელოვანი და საჭიროებს რაიმე სამთავრობო დახმარებას ინვესტიციებით ან სპეციალური პოლიტიკის დანერგვით, ყოველთვის მთავრდება ძალიან რთული კალეულაციებით დროში და სივრცეში. საქართველოს არ გააჩნია რაიმე სერიოზული ბუნებრივი რესურსები, რომელიც მსოფლიო ბაზარზე შეიძლება გაიყიდოს. ეს მთავრობას იძულებულ ხდის ისეთი პოლიტიკა დანერგოს, რომელიც წაახალისებს ინვესტიციებს ისეთ სექტორებში, რომელიც უფრო ადამიანური კაპიტალის გამოყენებისკენ იხრება. ამას სჭირდება ძალიან ძლიერი შრომითი უნარები საერთაშორისო კონკურენციის გადასაღაბავად და გამოსახებნია ნებისმიერი გზები მათ გასაუმჯობესებლად. მაგრამ ეს საშუალებები და ღონისძიებები უნდა იყოს ქმედითი, შრომის ბაზარზე და განათლების სფეროში მეტი კონკურენციის შემოტანის ჩათვლით.

ვაჭრობის დივერსიფიცირება და ეკონომიკის მოქნილობა გრძელვადიან გარანტიებს ქმნის სტაბილურობისთვის.

დაბოლოს: საბჭოთა კავშირის დაშლამ საქართველოს ხალხი ყოველგვარი საპენსიონ და ჯანდაცვის დანაზოგების გარეშე დატოვა. რუსეთის ფედერაციამ არ აიღო ვალდებულება საბჭოთა კავშირის საერთო სოციალურ ფონდებზე. შემდგომში, წლების მანძილზე საქართველოს არ შეეძლო სოციალური კონტრიბუციების შეგროვება მოსახლეობიდან. ამ და სხვა ბევრი მიზეზის გამო, სოციალური, საპენსიონ ჯანდაცვის საჯარო ფონდების საქმიანობა ქვეყანაში შეჩერდა. აღარ არსებობს სხვა სამთავრობო ოფიციალური ვალდებულებები ხალხის, გადასახადის გადამხდელთა მიმართ. ნებისმიერი პენსია, სოციალური დახმარება ან ჯანდაცვის ხარჯი ფინანსირდება პირდაპირ მიმდინარე წლის საბიუჯეტო შემოსავლებიდან. ეს ქვეყანას უპირატეს მდგომარეობაში აყენებს სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, სადაც მთავრობებს უზარმაზარი სახელმწიფო ვალი აქვთ, მაგრამ ასევე ფარული, ძირითადად დაფინანსების წყაროს გარეშე, საჯარო ვალდებულებებიც. შესაბამისად, ამ ტენდენციის გაგრძელება ქვეყანას ინვესტიციებისათვის უფრო მეტად საინტერესოდ გახდის, რადგან მთავრობას არ დაჭირდება ეკონომიკაზე საგადასახადო ან სახელმწიფო ხარჯების ტვირთის სასწრაფო ზრდა. ეს ძალიან სასარგებლო და მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა გახდება უახლოეს მომავალში.

ეკონომიკური სისტემის სტაბილურობისთვის ძალიან კარგი ნაბიჯი იყო გადადგმული 2011 წელს, როდესაც პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციის ცვლილება — ეკონომიკური თავისუფლების აქტი, რომელმაც შეზღუდა მთავრობა ახალი გადასახადების მიღებაზე, სახელმწიფო ვალის გაზრდაზე მშპ-ის 60 %-ზე მეტად, სახელმწიფო ხარჯების — მშპ-ის 30%-ზე მეტად და დეფიციტის გაზრდაზე მშპ-ის 3%-ზე მეტად.

შემდეგი უცილებელი ნაბიჯი განვითარების უზრუნველსაყოფად და საუკეთესო ეკონომიკური შედეგების მისაღწევად შეიძლება იყოს საკუთრების უფლების მკაფრი დაცვა. თუ საქართველოს ინვესტიციები სჭირდება, მომავალ დეკადებში ეს უნდა იქცეს პირველ საკითხად.

დასკვნა

საქართველოს ეკონომიკური ტრანზიცია ცენტრალურად ორგანიზებული და კოლონიური ტიპის მეურნეობიდან თანამედროვე საბაზრო წესებზე ბაზირებულ ეკონომიკაში ძალიან მძიმე ამოცანა იყო. ამას სჭირდებოდა ქვეყნის ეკონომიკის ხელახალი ორიენტაცია ახალი ბაზრებისკენ, ახალი მომხმარებლებისა და მიმწოდებლებისკენ, ახალი უნარების და ცოდნის მიღება, სამეცნარმეო სულის წახალისება, კანონმდებლობის შექმნა, გაუმჯობესება და წესების გამარტივება, კონფრაქტების შესრულება და საკუთრების დაცვა, პრივილეგიების და კორუფციის შესაძლებლობების გაუქმება, ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზება და დერეგულირება. ასეთ რეფორმებს მრავალი განუსაზღვრელობა და მეტი კონკურენცია მოაქვს, რაც დიდი პოლიტიკური რისკია და მის განხორციელებას ძლიერი წება სჭირდებოდა.

საქართველოს ისტორიული გამოცდილებიდან შეგვიძლია ვისწავლოთ, რამდენად მნიშვნელოვანია ეროვნული დამოუკიდებლობის კომბინირება მსოფლიო ბაზრებში ინტეგრაციასთან, გახსნილობა და მეგობრული სავაჭრო ურთიერთობა მეზობლებთან. ასეთ ახალ გარემოში ქვეყანას უნდა ჰქონდეს ყველაზე მოქნილი და მსოფლიო ბაზრების მოთხოვნებისა და ახალი ტენდენციების მიმართ ადვილად ადაპტირებადი კანონმდებლობა. ეს ახალი პირობები საჭიროებს ქართველი მეწარმეების თავისუფალ და პასუხისმგებლურ მოქმედებას და გლობალური რეალობის მცოდნე მთავრობას. საქართველოს ეკონომიკა სტაბილურად უნდა იზრდებოდეს წელიწადში ორნიშნარიცხვის ფარგლებში. მხოლოდ ამას შეუძლია განმუხტოს შიგა უკმაყოფილება, სწრაფად შექმნას სიმდიდრე და სამუშაო ადგილები, და იმავდროულად გადაწყვეტილების რისკები რეგიონსა და ქვეყანაში. ნებისმიერი პოლიტიკა უნდა იყოს სტაბილური და შეუცევადი, რომელიც გრძელვადიანად შექმნის ნდობის და თანამშრომლობის ატმოსფეროს ქვეყნის გარშემო. საჭიროა ყველა პოლიტიკა კონკურენტუნარიანი იყოს და თვითონ ქმნიდეს მაქსიმალურ კონკურენტულ გარემოს, რათა მოხდეს უნარებისა და პროდუქტიულობის გაუმჯობესების დაჩქარება. პრივილეგიებისა და შეღავათების შექმნის ნებისმიერი პოლიტიკა უნდა გაუქმდეს.

საბჭოთა კავშირის შემდეგ პირველი წლებში საქართველო თითქოს ცურვის სწავლის სიტუაციაში ჩავარდა, ყოველგვარი დამახასიათებელი თავგადასავლებით, იყო პერიოდები ჩაძირვის, ამოყვინთვის. მრავალი არასწორი მწვრთნელიც ჰყავდა და

მრჩეველიც, მაგრამ 2004 წლის შემდეგ მან იპოვა რთული, მაგრამ საკუთარი გზა.

რეფორმების შედეგები მალევე გამოჩნდა — გაზრდილი მშპ, შემოსავლები, დეპოზიტები, ავტომობილების რაოდენობა, და სხვ. ამიტომ ამ ისტორიის დასკვნა ასეთი შეიძლება იყოს: გადამწყვეტი ნაბიჯები, ლიბერალიზაცია პლუს შინაურ პრობლემებზე პასუხისმგებლობის აღება, საუკეთესო პოლიტიკაა ნებისმიერი კრიზისის პრობლემების გადასაჭრელად. მით უმეტეს— ლარიბი ქვეყნებისათვის, რომლებიც გარდამავალი ეტაპის კრიზისში იმყოფებიან.

ამ ტენდენციის გასაძლიერებლად, ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად და სტაბილიზაციისთვის ქვეყანას სჭირდება ეკონომიკაში ინტერვენციონისტურ მეთოდებზე უარის თქმა, მთავრობის ეკონომიკაში მონაწილეობის შემცირება და ინვესტორების დარჩმუნება, რომ ეს პოლიტიკა გრძელვადიანია. ასეთი სანდოობა ასევე შეიძლება მხარდაჭერილი იყოს სოციალური ხარჯების ნაცვლად სიმდიდრის შექმნაზე ორიენტირებული პოლიტიკით. ამას შეუძლია ხელი შეუწყოს ინდივიდების უფრო პასუხისმგებლურ მოქმედებას საკუთარი მომავლის უზრუნველყოფისათვის. ასევე, აუცილებელია საკუთრების დაცულობა ძალიან მყარი იყოს.

ამ გზით საქართველოს შეუძლია მყარად დაიკავოს მისი ადგილი, ნიშა შრომის გლობალურ გადანაწილებაში და აღარასოდეს გახდეს დამოკიდებული პოლიტიკურად მართვად ეკონომიკურ ურთიერთობებზე.